ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1973 წ.
№ 241 (5011)
7 დეკემბერი, პარასკევი.
ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, მალაიზიელმა ბადმინტონისტებმა ორი შეხვედრა გამართეს მოსკოვში სსრ კავშირის I და II ნაკრებ გუნდებთან და ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (6:3) მოიგეს. მალაიზიელთა შორის საუკეთესო იყო წყვილთა თანრიგში მსოფლიოს ჩემპიონი, 28 წლის ინჟინერ-მექანიკოსი პ. გუნალანი. მან საკმაოდ იოლად დაამარცხა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი, კიეველი ვ. შვაჩკო — 15:10, 15:6.

• • •

სურათზე: ვ. შვაჩკოს და პ. გუნალანის შეხვედრის მომენტი.

ა. ბორისოვის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა").

სამკერდე ნიშანი მიღებულია. შემდეგ?

მშდ კომპლექსის მიერ წამოჭრილი პრობლემები

6 დეკემბერს გაზეთმა „პრავდამ" ასეთი სათაურით გამოაქვეყნა საინტერესო წერილი, რომელიც ეძღვნებოდა უმაღლეს სასწავლებლებში მშდ კომპლექსის დანერგვისა და ნორმატივების ჩაბარების საკითხებს. ამ წერილში წამოჭრილი პრობლემები ნიშანდობლივია ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული ორგანიზაციებისთვისაც. ამიტომ ვფიქრობთ, რომ წერილი, რომლის თარგმანსაც დღეს ვბეჭდავთ, საინტერესო იქნება ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის.

ПРАВДА

„პრავდა" № 337 (20211).

მშდ ახალი კომპლექსის შემოღების დღიდან ძალიან ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა კავშირში ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ახალ დონეზე დაყენებისთვის. მაგრამ ამ კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით დასმული საპასუხისმგებლო ამოცანები აუცილებელს ხდის ბევრი პრობლემის გადაჭრასაც, კერძოდ, სტუდენტთა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლებასაც, რომელიც დღესდღეობით არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ამიტომ, როცა ვცდილობთ მშდ კომპლექსის საფუძველზე გავზარდოთ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მასშტაბები და გავაუმჯობესოთ იგი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტულ წრთობას. ჭაბუკები და ქალიშვილები სწორედ სწავლის პერიოდში უნდა დაუმეგობრდნენ სამუდამოდ ფიზკულტურას. ამ მეგობრობას საძირკველი სკოლაში ეყრება და არა გვგონია იმ უმაღლესმა სასწავლებლებმა, რომლებსაც სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა აქვთ მინდობილი, შეძლონ იმის ანაზღაურება, რასაც ისინი ამა თუ იმ მიზეზით უფრო ახალგაზრდულ ასაკში კარგავენ.

მოვიშველიებ ფაქტებს: მოსკოვის მიწათმოწყობის ინჟინერთა ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტთა ფიზიკური მომზადების დონის შარშანდელმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ნორმები მშდ III საფეხურის სამკერდე ნიშანზე 100 მეტრზე რბენასა და 1000 მეტრზე კროსში ჭაბუკებისთვის, 500 მეტრზე გოგონებისთვის შესრულებული ჰქონდა მხოლოდ სტუდენტთა დაახლოებით თორმეტ პროცენტს. იმ ჭაბუკებსა და ქალიშვილებში, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე ჩაირიცხნენ მოსკოვის საოლქო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შესაბამისად 12, 14 და 15 პროცენტი მშდ კომპლექსის ნიშნოსანი იყო. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა პირველკურსელთა ფიზიკურ მომზადებაში სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში არმიაში სამსახურის შემდეგ არიან ჩარიცხული.

სავსებით ნათელია, რომ აუცილებელია ამოიფხვრას დისპროპორცია ფიზიკური აღზრდის დონეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

თვით უმაღლეს სასწავლებლებში მშდ ახალი კომპლექსის დანერგვამ თავისი პრობლემები წამოჭრა. ბევრ საინსტიტუტო ფიზკულტურულ ორგანიზაციაში მთელი მუშაობა დაყვანილია ნიშნოსანთა ერთი მეთოდით მომზადებაზე: „რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება სწრაფად". ამოცანის ასეთი გაგება პარადოქსულ შედეგებს იწვევს: ფიზკულტურული ორგანიზაციები ყოველგვარ ინტერესს კარგავენ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლებისადმი (თუ ისინი თანრიგოსანი სპორტსმენები არ არიან).

ჩვენი აზრით, უფრო სწორი და მნიშვნელოვანია მუშაობის ისე აგება, რომ ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა არა მარტო შეინარჩუნონ, არამედ აიმაღლონ კიდეც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების პროცესში მიღწეული სპორტული მომზადების დონე, გააგრძელონ ფიზკულტურაში რეგულარული მეცადინეობა. მართლაც, განა შეიძლება ფიზკულტურელად ჩაითვალოს მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, რომელიც ერთი წლის მანძილზე აბარებს ყველა ნორმატივს, მერე კი ივიწყებს სტადიონისა თუ სპორტული დარბაზის გზას და მას იქ მხოლოდ „გულშემატკივრის" როლში ვხედავთ?

ახლა პირველი და მეორე კურსების სტუდენტებმა, რომელთათვისაც ფიზიკური აღზრდა სავალდებულო საგანია, სწავლის მეორე წლის დამლევისთვის მთლიანად უნდა ჩააბარონ მშდ კომპლექსის ნორმატივები და ჩათვლა მიიღონ. ესე იგი, უკვე უახლოეს წლებში უმაღლესი სასწავლებლების მაღალ კურსებზე, სადაც ფიზიკური აღზრდა სავალდებულო საგნად დაგეგმილი არ არის, მშდ კომპლექსის მრავალი ათასი ნიშნოსანი გვეყოლება. ისმის კითხვა: ვინ და როგორ ჩაატარებს მათთან სპორტულ მუშაობას მაღალ კურსებზე?

ახლა უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციულ, საზოგადოებრივ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებისთვის, მაგრამ მათი მხედველობის არეში მაინც ისევ მხოლოდ დაბალი კურსების სტუდენტები არიან.

თუმცა, ცალკეულ ინსტიტუტებში უკვე ინერგება ყველასთვის აუცილებელი სპორტული მეცადინეობები, უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობაში უფროსკურსელებისთვის ფიზიკური აღზრდა ფაკულტეტურ საგნად რჩება. მაგრამ განა შეიძლება დაისვას „ფაკულტეტური ჯანმრთელობის" საკითხი? სავსებით ცხადია, რომ ყოველი სტუდენტი რეგულარულად უნდა მეცადინეობდეს სპორტში. გადატვირთული სასწავლო პროგრამის მოშველიება, რის გამოც ზოგიერთი არ არის მომხრე უმაღლესი სასწავლებლების ყველა კურსზე სავალდებულო ფიზკულტურული აღზრდის შემოღებისა, ჩვენი აზრით, საფუძველს მოკლებულია. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სპორტი ხელს უწყობს სწავლას?

უნდა ვიფიქროთ იმ სტუდენტებზეც, რომლებსაც თავიანთი მიდრეკილებებისა თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა გამო ამა თუ იმ სახეობის სექციებში მეცადინეობა არ შეუძლიათ. მათთვის უნდა შევქმნათ, პირველ ყოვლისა საერთო საცხოვრებლებთან, უმარტივესი მოედნები ფრენბურთში, მინიფეხბურთში, ბადმინტონში, „დიდ" და მაგიდის ჩოგბურთში სავარჯიშოდ. სხვებს გაიტაცებს ქვეითი და სათხილამურო ტურისტული ლაშქრობები დასვენების დღეებში, მასობრივი თევზაობა და ა. შ. არა გვგონია სწორი იყოს ყველა ამ საზრუნავის ფიზკულტურის კათედრებისთვის დაკისრება. უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდეს საზოგადოებრიობა. ასე რომ, უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს საქმიანობისთვის ვრცელი ასპარეზი აქვთ გადაშლილი. უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ყოველ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს არა მარტო დიპლომი, არამედ მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანიც, თანაც, მხატვრულად რომ ვთქვათ, „აქტიური" ნიშანი, რომლის ნორმებიც მისმა მფლობელმა სტადიონზეც უნდა დაამტკიცოს, რომელმაც ახალგაზრდას ხელი უნდა შეუწყოს უკეთ მუშაობაში, სამშობლოს დასაცავად მზადყოფნაში.

ნ. პეტროვი,
მოსკოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დოცენტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

[illegible] გაზეთი [illegible] იყო... 19 45

◆ **კიტო, 6 დეკემბერი.** სსრ კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრებმა თავისი სამხრეთამერიკული ტურნეს მორიგი მატჩი ეკვადორის დედაქალაქში ჩაატარა. იგი ანგარიშით 2:3 დამარცხდა მასპინძელი ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერთან „ნასიონალთან".

◆ **ლონდონი, 6 დეკემბერი.** მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ევროპის ლიგის პირველობის მორიგ მატჩში ანგარიშით 5:2 სძლიეს ინგლისის ნაკრებს. გამარჯვებულ გუნდს 2 ქულა მოუტანა მოსკოველმა გომოზკოვმა, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით (2:1) დაამარცხა ჯარვისი და ნილი. წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ვაჟებისა და შერეულმა წყვილებმა, რომელთა შემადგენლობაში გომოზკოვიც იყო. ევროპის ჩემპიონმა, მოსკოველმა რუდნოვამ მოუგო ჰამერსლეის — 2:0. ლვოველმა სტროკატოვმა ერთეულთა თანრიგში ორივე შეხვედრა წააგო. ეს საბჭოთა ნაკრების მეორე მოგებაა სამ მატჩში.

◆ **კარლოვი ვარი, 6 დეკემბერი.** ევროპის ლიგის პირველობის მორიგ კალენდარულ მატჩში მაგიდის ჩოგბურთის უნგრელმა ოსტატებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ეროვნული გუნდი.

◆ **მადრიდი, 6 დეკემბერი.** ესპანეთის დედაქალაქში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. 8 ტურის შემდეგ წინაა დიდოსტატი ულმანი (გდრ) — 6 ქულა. II ადგილზეა უნგრელი დიდოსტატი პორტიში — 5 ქულა. 4,5-4,5 ქულა დააგროვეს დიდოსტატებმა კარპოვმა, ფურმანმა, ტუკმაკოვმა (ყველა — სსრკ) და ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია). ფურმანს და ჰორტს 2-2 გადადებული პარტია აქვთ, კარპოვს — 1.

ოთხი გუნდის ფინალური მატჩები

დღეს მოსკოვში, ცსკა-ს საცურაო აუზში, დაიწყება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის XI გათამაშების ფინალური ტურნირი წყალბურთში. სარბიელზე გამოდიან მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, ნეაპოლის „კანოტიერი", ბელგრადის „პარტიზანი" და ბუდაპეშტის ოშც.

ფინალში თამაშის უფლება ჩემპიონთა თასის მაძიებლებმა ბელგრადსა და პალერმოში მოიპოვეს. იუგოსლავიის დედაქალაქში ამ უფლებისთვის უმთავრესად იბრძოდნენ ადგილობრივი „პარტიზანი" და მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივი. ამ გუნდების მატჩი მოსკოველებმა მოიგეს და დამარცხებულებთან ერთად ფინალის საგზურიც მიიღეს. პალერმოში თავიდანვე დაწინაურდნენ უნგრეთის ოშც და ნეაპოლის გუნდი. გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობის უფლებაც მათ დარჩათ.

ალმა-ათაში თბილი ამინდია — 16-18 გრადუსი, ხოლო მაღალმთიან საციგურაო „მედეოზე" უკვე გახურებული სპორტული სეზონია.

• • •

სურათზე: დასვენების დღეს „მედეოზე".

დ. ეგიზოვის ფოტო (საკდესი).

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადა

დამაფიქრებელი სიგნალები

„ლელოს" ინტერვიუ

რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდების სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 12 სახეობა შედიოდა. რა გვიჩვენა სპარტაკიადამ? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ი. გოშორიძე. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.

● **„ლელომ" სპარტაკიადის ცალკეულ სახეობებში გამართულ შეჯიბრებათა ტექნიკური შედეგები მკითხველს უკვე გააცნო. გვითხარით, როგორ წარიმართა საერთო გუნდური ტურნირი?**

— გათამაშების კალენდარსა და ცხრილს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ თავიდანვე „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები დაწინაურდა. ამაში მას სხვა სპორტსაზოგადოებების საბჭოები „დაეხმარნენ": ზოგიერთმა წყალში ხტომაში წინასწარი განაცხადი წარმოადგინა, საასპარეზოდ კი გუნდის გამოყვანა მხოლოდ „განთიადმა" შეძლო. რა თქმა უნდა, გამარჯვებაც ამ საზოგადოებამ მოიპოვა და 1 საჯარიმო ქულით (სხვა კოლექტივებს 7-7 საჯარიმო ქულა დაეწერათ) დაწინაურდა. შემდეგში „ბურევესტნიკი" ბევრს ეცადა სტარტზე დაკარგულის როგორმე ანაზღაურებას, რაც ერთგვარად შეძლო კიდეც, მაგრამ მდგომარეობის საბოლოოდ გამოსწორება ვეღარ მოახერხა და კომპლექსურ ჩათვლაში 26 საჯარიმო ქულით II ადგილს დასჯერდა. სტუდენტთა ნაკრებმა იმდენივე (ხუთი) გუნდური პირველი ადგილი მოიგო, რამდენიც განთიადელებმა. ამას გარდა, „ბურევესტნიკმა" ოთხი მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, მისმა მეტოქემ — ორი. მაგრამ საქმე იმან გადაწყვიტა, რომ „განთიადს" სპარტაკიადაში ოთხი III ადგილი ხვდა, „ბურევესტნიკს" კი არც ერთი (სტუდენტებმა ერთი IV და ერთიც VII ადგილი დაიკავეს). „განთიადმა" „ბურევესტნიკს" ქულით აჯობა — 25 საჯარიმო ქულა დააგროვა. III ადგილზეა „სპარტაკი" — 39 ქულა.

ძალიან სუსტად, უსუსურად გამოვიდნენ „ვოდნიკის" (თავმჯდომარე ვ. იორაიშვილი) სპორტსმენები, რომლებიც ბოლო ადგილზე დარჩნენ. ვოდნიკელთა ასეთი წარუმატებლობა ძირითადად გუნდების დაკომპლექტებისადმი უყურადღებობის ბრალია. ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა საწყლოსნო სახეობებში 7-7 საჯარიმო ქულა მიიღეს, ქართულ ჭიდაობაში კი გუნდის წევრებმა წონის შენარჩუნება ვერ შეძლეს, რის გამოც ისინი სააასპარეზოდ არ დაუშვეს.

● **როგორ მოხდა, რომ „ბურევესტნიკმა", სადაც რესპუბლიკის საუკეთესო ახალგაზრდობაა თავშეყრილი, „განთიადთან" წააგო?**

— „განთიადმა" მეტოქეს ორგანიზებულობითაც აჯობა. საერთოდ, ამ საზოგადოებაში გუნდები წლიდან წლამდე ძლიერდებიან ძირითადად იმის ხარჯზე, რომ ბავშვებთან საშეფო მუშაობას სათანადო ყურადღება ეთმობა (ამ საზოგადოებაში ბავშვთა სპეციალური სპორტული სკოლებიც კი გახსნეს), „ბურევესტნიკში" კი საქმიანობის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი რატომღაც მივიწყებულია.

● **რას გვეტყვით სპარტაკიადის ცალკეულ სახეობათა შედეგებზე, კმაყოფილი თუ ხართ?**

— საიმედო ბევრი არაფერია. ჩამორჩენა განსაკუთრებით საგრძნობია კრივში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, წყალში ხტომაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში.

ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა ჩამორჩენაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა. ეს სახეობა ჩვენს საზოგადოებებშიც მეტად დაბალ დონეზეა. სასპარტაკიადო სარბიელზე ზოგმა კოლექტივმა აშკარად მოუმზადებელი, რინგიდან კარგა ხნის წასული მოკრივეები გამოიყვანა.

ტანვარჯიშშიც დამაფიქრებელი მდგომარეობაა. განსაკუთრებით სუსტია ვაჟთა კოლექტივები. საკმარისია ითქვას, რომ ვერც ერთი საზოგადოების წარმომადგენელმა ვაჟებმა სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულება ვერ შეძლეს.

მძლეოსნობაში საქართველოს ნაკრების წევრთა ნახევარზე მეტს პროფკავშირული საზოგადოებების სპორტსმენები შეადგენენ, მაგრამ საკავშირო სარბიელზე წარმატებით ბრძოლის უნარი მათგან ძალიან ცოტას აქვს.

ან თუნდაც ცურვა ავიღოთ. ამ სახეობის დანერგვა-განვითარების საქმე ყველა სპორტსაზოგადოებაში (განსაკუთრებით „ბურევესტნიკში") ისე რომ იყოს, როგორც „განთიადშია", საგანგაშო მდგომარეობა როდი გვექნებოდა. არადა, სპარტაკიადაში „განთიადის" მოცურავეებმა იმდენი ქულა მოაგროვეს, რამდენიც ერთად ყველა სხვა საზოგადოების სპორტსმენებს ხვდათ.

მე მგონია, ყველა სახეობაზე ცალცალკე საუბარი ზედმეტია. ვიტყვი მხოლოდ, რომ „განთიადში", „ბურევესტნიკში", „სპარტაკში", „ლოკომოტივსა" და „ვოდნიკში" თანაბრად არც ერთი სახეობა არ ვითარდება.

● **როგორ ფიქრობთ, რა არის სპორტის უთანაბრო განვითარების მიზეზი?**

— უპირველესი მიზეზია ამ საქმით სპორტსაზოგადოებათა საბჭოების ხელმძღვანელთა უკმარი დაინტერესება, საზოგადოებების უთანაბრო ასიგნება, და რაც მთავარია, სპორტული ბაზების, ინვენტარის უკმარობა. პირდაპირ სამარცხვინო ფაქტია, რომ თბილისის არც ერთ ბაზას ორი ფიცარნაგი არ გააჩნია (უამისოდ ტურნირის ჩატარება არ შეიძლება) და ამიტომ ძალოსნობაში სარბიელის საძებნელად რუსთავში წასვლა მოგვიხდა.

არც მძლეოსნური და საცურაო ბაზებით ვართ განებივრებული. ეს ყველასთვის ცნობილი ფაქტია. მძლეოსნობაში ნორმალური სავარჯიშო ბაზა სპორტსაზოგადოებებს კი არა, საქართველოს ნაკრების წევრებსაც არ გააჩნიათ.

კიდევ ერთი მიზეზია საქმისადმი მწვრთნელების გულგრილი დამოკიდებულება. აღმზრდელთა უმეტესობა სპორტსმენებს თანამედროვე ტექნიკას ვერ ასწავლის, ხშირად უპერსპექტივო ახალგაზრდებთან მუშაობას სჯერდება, არ ზრუნავს სპორტსმენებში დისციპლინის განმტკიცებისთვის. უდისციპლინობის შემთხვევები ამ სპარტაკიადაშიც იყო, მაგრამ ხულიგნობით ყველას მაინც სპარტაკელმა მოჭიდავემ, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა პაპაშვილმა გადააჭარბა, როცა მსაჯი ფიზიკურად შეურაცხყო. პაპაშვილი შეჯიბრებიდან მოიხსნა, მისი შედეგები გაუქმდა, მაგრამ ეს როდი კმარა. ხულიგნის საქციელი „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს და ჭიდაობის ფედერაციის მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

● **როგორ გესახებათ მდგომარეობის გამოსწორების გზები?**

— სპორტსაზოგადოებებმა, მწვრთნელებმა მუშაობა უნდა გარდაქმნან, შეჯიბრებები მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით კი არა, ყოველმხრივ მაღალ დონეზე ჩაატარონ. რაც მთავარია, ასპარეზობებს ხელმძღვანელი მუშაკებიც უნდა ესწრებოდნენ. მე მოწმე ვარ იმისა, რომ ზოგიერთ საზოგადოებას ამ საზოგადოებისავე შეჯიბრებაში გამარჯვებული სპორტსმენისთვის საზეიმოდ სიგელიც კი არ გადაუცია. ბოლო უნდა მოეღოს საკავშირო შეჯიბრებებში ერთ სეზონში ერთი და იმავე სპორტსმენის სხვადასხვა საზოგადოების სახელით გამოსვლას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს საზოგადოებიდან საზოგადოებაში სპორტსმენთა გადასვლის წესების დარღვევას. თვალსაჩინოდ უნდა ავამაღლოთ მწვრთნელთა საქმიანობისადმი კონტროლი. ხშირად საწვრთნელი მეცადინეობები ზერელედ ტარდება, მწვრთნელები კვალიფიკაციის ამაღლებისთვის არ ზრუნავენ, მეცადინეობაზე ყოველდღიური ტანსაცმლით, სპორტული ფორმის გარეშე ცხადდებიან. ის მწვრთნელი, რომელიც წლის მანძილზე თუნდაც ერთ მაღალთანრიგოსანს ვერ აღზრდის, სპორტს უნდა ჩამოშორდეს და ადგილი ნიჭიერ, საქმის მოყვარულ მუშაკს დაუთმოს.

● **როგორ ემზადებიან პროფკავშირელი სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადისთვის?**

— ამ სპარტაკიადის მიზანი პროფკავშირულ ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებში წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შემოწმება და საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ჩვენი ძალების დათვალიერება იყო. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიგნალები საგანგაშოა. პირდაპირ ვიტყვი: ჩვენი სპორტსმენები დღეს საიმედო ძალას არ წარმოადგენენ. საქართველოს სპორტკომიტეტს, პროფსაბჭოს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს მეტი გარჯა გვმართებს. ხალხთა სპარტაკიადას ორი წელიც აღარ გვაშორებს, გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია.

მარათონული ჩემპიონატის ფინიში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 2 დეკემბერი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 4:14 (0:0).

„ლოკომოტივი": მოდებაძე, კემულარია, ფეტვიაშვილი, ლაზიშვილი, ლიბრაძე, ჩუბინიშვილი, ნაცვლიშვილი, სანებლიძე, გელა მიქაბერიძე, კილასონია, გეგეშიძე, ფურცელაძე, ულენტი, გივი მიქაბერიძე, კაპანაძე.

„დინამო": თუშიშვილი, რამიშვილი, ა. ნაცვლიშვილი, ქეთილაძე, რეხვიაშვილი, ბუგიანიშვილი, ცუხიშვილი, მამულაშვილი, მენაბდე, კიზირია, ი. ნაცვლიშვილი, კორძაია (ქელბაქიანი), გვალია, ნიჟარაძე, ანდღულაძე (გიორგაძე).

მსაჯი გ. გუდაძე (თბილისი).

რეგბიში წლევანდელი რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი საკავშირო პირველობის შემდეგ თბილისში გაიმართა. განსაკუთრებით I ადგილის ბედის გადაწყვეტა გაჭირდა: ვინაიდან დედაქალაქის გუნდებმა „დინამომ" და „ლოკომოტივმა" ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს და მათი პირველი დუელიც ფრედ (3:3) დამთავრდა, დამატებითი მატჩი დაინიშნა.

და აი, ეს გუნდები კვლავ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ორივე კოლექტივმა საგრძნობი დანაკლისი განიცადა. გადამწყვეტი მატჩისთვის განსაკუთრებით მოკლე „ლოკომოტივის" სათადარიგოთა სკამი აღმოჩნდა. მართალია, მთლიანი საბრძოლო შემადგენლობა ამ დღისთვის არც „დინამოს" ჰყავდა, მაგრამ მან ამ სირთულეს თავი უფრო იოლად გაართვა და საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორს თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა შესთავაზა.

შესვენებამდე თამაში ძირითადად მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. „დინამოს" გამუდმებულ იერიშებს „ლოკომოტივის" დაცვაში შეცდომა მოჰყვა და ბუგიანიშვილმა შეძლო ბურთი მეტოქის ჩათვლის მოედანში დაედო.

რკინიგზელი რეგბისტები მოულოდნელმა მარცხმა მოადუნა. ეს წუთიერი ამბავი იყო, მაგრამ გვალიამ მაინც მოასწრო ბურთიანად კვლავ „ლოკომოტივის" ჩათვლის მოედანზე შესვლა. ანგარიში გახდა 8:0.

შეხვედრის ბოლომდე 30 წუთი რჩებოდა, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო, რკინიგზელები გონს მოვიდნენ და მეტოქის კარს ზედიზედ მწვავედ შეუტიეს. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს, მე-15 წუთზე, ულენტმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 4:8.

მატჩი დაიძაბა. მეტოქეებმა უხეშობას უმატეს, მსაჯი იძულებული გახდა ხულიგნობისთვის გვალია მინდვრიდან გაეძევებინა („ლოკომოტივმა" რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ვერ შეძლო), მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა: საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე გვალიას გზას გაჰყვნენ ბუგიანიშვილი და კაპანაძე.

ბოლო წუთზე თუშიშვილმა კიდევ ერთხელ აიღო „ლოკომოტივის" ჩათვლის მოედანი და იქვე კიზირიამ რეალიზაცია ზუსტად გამოიყენა. საქართველოს ჩემპიონი გახდა „დინამო". II ადგილი დაიკავა თბილისის „ლოკომოტივმა", მესამეა ქუთაისის „ლოკომოტივი".

ამ მატჩის შემდეგ შესაძლებლობა გვეძლევა შევაჯამოთ შედეგები რეგბისტთა წლევანდელი სეზონისა, რომელიც, პირდაპირ უნდა ითქვას, საქართველოს კოლექტივებისთვის არცთუ სახარბიელო იყო. რესპუბლიკის ჩემპიონატი მეტად უხეიროდ, არაორგანიზებულად ჩატარდა: გაზაფხულზე დაწყებული გათამაშება ზამთრის დამდეგს ძლივს დასრულდა. ჩემპიონატში მხოლოდ თბილისის კოლექტივები და ქუთაისის გუნდი გამოდიოდნენ. თუ თბილისის „ლოკომოტივი" და „დინამო" ყველა მეტოქეს ბევრად სჯობდნენ, სხვა კოლექტივების („სპარტაკი", „განთიადი", სპი, „უნივერსიტეტი") მომზადების დონე მეტად დაბალი იყო. ამ მხრივ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისის კოლექტივმა, რომელმაც III ადგილი ღირსეულად დაისაკუთრა.

დასამალი როდია, რომ რეგბისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატები მუდამ, ასე ვთქვათ, მოვალეობის მოხდის მიზნით, მტკიცე კალენდრის გარეშე ტარდება. ეს უდავოდ უარყოფითად მოქმედებს გუნდების მომზადების დონეზე, ამ სახეობის გეოგრაფიის გაფართოებაზე. საქართველოში რეგბი უკვე მერამდენე წელია დაინერგა, რესპუბლიკურ ჩემპიონატებში კი აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, გორისა და სხვა კოლექტივები არ ჩანან. მიზეზი? ფიზკულტურის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების უგულისყურობა!

რეგბის დანერგვა-განვითარებისთვის ყველა უნდა ზრუნავდეს, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები კი ამ სახეობას მეტად გულგრილად ეკიდებიან. წლეულს საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის კოლექტივებს — თბილისის „ლოკომოტივსა" და „დინამოსაც" კი არ ჰქონდათ ნორმალური წვრთნისთვის გამოსადეგი ბაზები. ის კი არა, გუნდებმა მატჩის დღემდე არ იცოდნენ, საკავშირო კალენდრით დაგეგმილ შეხვედრას რომელ სტადიონზე გამართავდნენ. ხშირად ჭიანურდებოდა საკავშირო პირველობის მატჩებისთვის რეგბისტთა განთავისუფლებაც, თუმცა შეხვედრები შაბათ-კვირას ეწყობოდა. „დინამოსა" და „ლოკომოტივს" (სხვა გუნდებზე აღარას ვამბობთ) არც სხვა მინიმალური პირობები ჰქონდათ შექმნილი. ზოგჯერ სპორტსმენები მინდორზე უხეირო ფორმით გამოდიოდნენ, ქაცვებს მატჩის მსვლელობისას ეძებდნენ.

შედეგებზე ყოველივე ამანაც იმოქმედა. შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — თბილისის „ლოკომოტივმა" წლევანდელ გათამაშებაში ჩატარებული 14 მატჩიდან მხოლოდ ოთხი მოიგო, ორჯერ ფრეს დასჯერდა (93:147), 10 ქულა მოაგროვა და VI ადგილზე გადაინაცვლა. მას გაუსწრეს ისეთმა კოლექტივებმა (კიევის „სპარტაკი" და მოსკოვის „ავტომობილისტი"), რომლებთანაც შარშან ორივე წრის მატჩები მოგებული ჰქონდა. თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება შარშან მოიპოვეს, ეს ლიგა კინაღამ ისევ დატოვეს.

ბოლო მომენტში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო, თითქოს უსახსრობის გამო, თავს ანებებს რეგბის განვითარებისთვის ზრუნვას. სამწუხარო ფაქტია. საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში აზერბაიჯანს, სომხეთს, ბელორუსიას, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებს თითო გუნდიც კი არ ჰყავთ, ვინაიდან იქაურმა სპორტსმენებმა ამის უფლება ვერ მოიპოვეს, საქართველოს ორმა კოლექტივმა კი დაძაბულ ბრძოლაში შეძლო სასურველი მიზნისკენ გზის გაკვლევა, მაგრამ ჩვენ მათთვის სათანადო პირობები ვერ შევუქმნია, კარგად რომ მოემზადონ და მაღალი ადგილისთვის იბრძოლონ.

რეგბის უყურადღებოდ მიტოვება არავის ეპატიება. მერე რა, რომ იგი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში არ შედის?

მომავალი საკავშირო პირველობისთვის „ლოკომოტივისა" და „დინამოს" (შესაძლოა გაისად ეს გუნდი სხვა საზოგადოებას გადაეცეს) მზადების საკითხი ახლავე უნდა გადაწყდეს, ვინაიდან ორივე კოლექტივში ბევრი ორგანიზაციული საკითხია მოსაგვარებელი.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათზე: ბურთით მოიერიშე ი. ნაცვლიშვილის შეჩერებას დინამოელი შეკვრით შეეცადა, მაგრამ ლოკომოტიველმა ბოლო მომენტში ბურთი გელა მიქაბერიძეს (ბურთით) გადააწოდა, დინამოელს კი ხელში ნაცვლიშვილის თავი შერჩა.

ავტორის ფოტო.

რაიონებში [illegible]

ჩხოროწყუ

მექანიკური ტექნიკუმის სპორტულ მოედანზე ათ დღეს მიმდინარეობდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ფეხბურთში. გამარჯვება წილად ხვდათ მექანიზაციის განყოფილების III კურსის მოსწავლეებს.

• • •

ამავე ტექნიკუმში მოეწყო შეჯიბრება ცურვაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს თ. შეროზიამ, შ. წურწუმიამ და ფ. ჯალაღონიამ.

• • •

ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებს შეემატა კალათბურთის 2 ახალი მოედანი.

ს. ჯალაღონია.

სტუმრად ყირიმში

ყირიმის ოლქის დაბა შეპეტოვკაში, ლენინის საბჭოთა მეურნეობა „კოქტებელის" ბაზაზე მოეწყო ფაშისტ დამპყრობთაგან ყირიმის განთავისუფლებისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი, მოსკოველი, ვოლგოგრადელი, მოლდაველი, ბელორუსიელი, ლიტველი, ყაზახი, სომეხი და ქართველი ფეხბურთელები. ჩვენს რესპუბლიკას, კერძოდ, წარმოადგენდა გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის გუნდი.

I ადგილი წილად ხვდათ ადგილობრივ სპორტსმენებს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოლდავეთისა და საქართველოს გუნდები.

ა. ჭუჭულაშვილი,
გურჯაანის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

2:1

5 დეკემბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი თბილისისა და კიევის დინამოელ ფეხბურთელთა შორის, რომლებსაც, როგორც ცნობილია, უეფა-ს თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრები აქვთ ლონდონსა და შტუტგარტში 12 დეკემბერს.

ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა ტრომშინმა, რომელმაც კარგად გამოიყენა თბილისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა. შესვენების შემდეგ რეშკომ უხეშად ითამაშა ებრალიძის წინააღმდეგ, თავისი კარის სიახლოვეს წააქცია იგი და მსაჯმა გ. ბაქანიძემ პენალტი დანიშნა. კიეველთა მეკარე რუდაკოვმა შეძლო ჭელიძის მიერ დარტყმული ბურთის აღება.

73-ე წუთზე გ. ნოდიამ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს დროზე მოუსწრო და გაათანაბრა ანგარიში, ხოლო მაშინ, როცა მატჩის დასასრულს 5 წუთი აკლდა, გუცაევმა მეორედ აიღო კიეველთა კარი.

2:1. ამ ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: თბილისი — გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე (ხინჩაგაშვილი), ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გუცაევი); კიევი — რუდაკოვი, დამინი, დოცენკო, ფომენკო, რეშკო, ტრომშინი, მუნტიანი, ზუევი, კოლოტოვი, ვერემეევი (სემიონოვი), ბლოხინი.

ნახევარფინალში გავიდნენ

გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელთა გუნდების რესპუბლიკური თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები.

თელავის პედინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 1:3 წააგო სოხუმის პედინსტიტუტის კოლექტივთან. უნივერსიტეტელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს გორის პედინსტიტუტის გუნდი. ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ანგარიშით 1:0 სძლიეს სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდს, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების კოლექტივების შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

2-2 მატჩის ჯამში ნახევარფინალში გავიდნენ. სოხუმის, გორის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ბათუმის გუნდები.

მოსწავლეთა შეჯიბრება

დამთავრდა რაიონული გათამაშება მოსწავლე ფეხბურთელთა შორის. საშუალო სკოლების 13 გუნდი დაყოფილი იყო სამ ზონად, გამარჯვებულებმა ერთმანეთს შორის გაითამაშეს საერთო I ადგილი.

ჩემპიონის წოდება მოიპოვეს სოფ. დიმის 1-ლი საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ. ვ. მაიაკოვსკის სახელობისა და ფერსათის 1-ლი სკოლების გუნდები.

განვლილი შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც ემზადება გაისად რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის.

რ. ენდელაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

თავდაჯერებულმა „ტოტენჰემმა" გაუძლო „დინამოს"

ინგლისის პრესა საკმაო ყურადღებას უთმობს 28 ნოემბერს თბილისში ადგილობრივ „დინამოსა" და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურს" შორის გამართულ უეფა-ს თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩს. აი, რას წერს ამ მატჩზე ლონდონის გაზეთი „მორნინგ სტარი" წერილში სათაურით „თავდაჯერებულმა „ტოტენჰემმა" გაუძლო „დინამოს".

„ტოტენჰემი", რომელიც ცუდად თამაშობს ინგლისის ჩემპიონატში, იმ დღეს თითქოს ჩადგა ფორმაში და გაუძლო ძლიერ საბჭოთა გუნდს — თბილისის „დინამოს": ფრედ (1:1) ითამაშა მასთან უეფა-ს თასის გათამაშების III წრის პირველ მატჩში.

ლონდონელებმა, რომლებიც 1972 წელს ამ პრიზს ფლობდნენ და შემდეგი გათამაშების ნახევარფინალამდე მივიდნენ, დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს და მიაღწიეს იმას, რომ განმეორებით მატჩში, რომელიც 12 დეკემბერს „უაით ჰარტ ლეინის" სტადიონზე გაიმართება, უკეთესი შანსები აქვთ.

საბჭოთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ბატონობდა მინდორზე, მაგრამ დინამოელთა შეტევებს სისტემატურად შლიდნენ, პირველ ყოვლისა, ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარე პატ ჯენინგსი და „ტოტენჰემის" დაცვა, რომელშიც გამოირჩეოდა ცენტრალური მცველი მაიკ ინგლენდი.

მარცხენა გარემარბმა რალფ კოუტსმა 25-ე წუთზე დააწინაურა „ტოტენჰემი". მარტინ ჩივერსმა, რომელიც თავისთვის უჩვეულო უკან დახეული თავდამსხმელის როლში იყო, გვერდი აუარა ორ მეტოქეს, უკან გაუგორა ბურთი კოუტსს, ამ უკანასკნელმა 20 იარდიდან უძლიერესად დაარტყა და არავითარი იმედი არ დაუტოვა „დინამოს" მეკარე გოგიას.

„ლოკომოტივის" სტადიონზე მოსული „დინამოს" 50 ათასი ქომაგის წინააღმდეგ ლონდონელებს მხოლოდ 43 გულშემატკივარი ჰყავდათ. ქართველები ისევ უტევდნენ ლონდონელებს, მაგრამ პირველ ტაიმში მაინც ვერ შეძლეს „ტოტენჰემის" არიერგარდის გარღვევა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ უფრო შეუპოვრად შეუტიეს მეტოქეს. ისინი უხვად „ამარაგებდნენ" ძმებ ნოდიებს, ასათიანმა და ყიფიანმა კი ნახევარდაცვის ხაზი დაიკავეს. ბოლოს თამაში შედარებით გათანაბრდა, მაგრამ 68-ე წუთზე ინგლენდმა პატარა შეცდომა დაუშვა და შესაძლებლობა მისცა ასათიანს დაახლოებით 10 იარდიდან კარში დაერტყა. ამ უკანასკნელმა ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა.

ქართველები შეუპოვრად იბრძოდნენ მეორე გოლისთვის. და სამჯერ მათ უნდა გაეტანათ კიდეც ბურთი, მაგრამ კვლავ შესანიშნავად ითამაშა მეკარე ჯენინგსმა".

WM 74

შესარჩევი თამაში

მეხიკო. მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მიიღო ჰონდურასის გუნდი და ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 1:1.

ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნების ზონაში ახლა ჰონდურასელები ლიდერობენ.

გაგრელთა წარმატება

ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა აფხაზეთის თასის გათამაშებაში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გაგრის № 16 სამშენებლო ტრესტისა და ტყვარჩელის № 1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კონტორის ფეხბურთელები. მატჩი, რომელიც სოხუმში შედგა, გაგრელთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 8:4.

უნდა აღინიშნოს, რომ გაგრელებმა წლეულს აფხაზეთის თასიც მოიპოვეს და ჩემპიონობაც. გუნდის შემადგენლობაში გამოდიან ი. კვარაცხელია, ი. ჩხეტიანი, ვ. პავლიჩოვი, ა. თოდუა, ვ. კეტია, რ. წოწორია, გ. ლოლუა, დ. ხურცილავა, რ. კუცია, ო. უშვერიძე, დ. კოტეტიანი, ა. ლადარია და სხვანი. გუნდის მწვრთნელია რ. წოწორია.

გ. პოლოსიანი,
გათამაშების მთავარი მსაჯი.

ჩაშლის პირასაა

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" ცნობით, საბერძნეთის ხელისუფლებმა უარი უთხრეს შვეიცარიის ნაკრებს ჩასულიყო ათენში და იქ ჩაეტარებინა ამხანაგური მატჩი საბერძნეთის ნაკრებთან, როგორც ეს უწინ იყო დაგეგმილი.

გაზეთის ცნობით, ჩაშლა ემუქრება მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩსაც საბერძნეთისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის, რომელიც 19 დეკემბრისთვისაა დანიშნული ათენში. ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს ფინალისტის გამოვლენის საქმეში. თუ იგი არ შედგება, დებულების თანახმად იუგოსლაველებს მოგება ჩაეთვლებათ ანგარიშით 2:0. ამ შემთხვევაში ისინი ქულებითაც და ბურთებითაც უთანაბრდებიან ესპანელებს და საჭირო გახდება დამატებითი მატჩის მოწყობა ფინალისტის დასასახელებლად.

ხელბურთელ ვაჟთა VIII საერთაშორისო ტურნირი

მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

სურათზე: სსრ კავშირის I ნაკრებისა და იუგოსლავიის გუნდის მატჩის მომენტი. უტევენ საბჭოთა ხელბურთელები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

აი, ვინ გაიტანა გოლები

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 დეკემბერი.

რუმინეთი — სსრ კავშირი (II, ახალგაზრდული) 18:15 (10:10).

რუმინეთი. ვილიში (4), დრეგენიცა (3), გრაბოვსკი (3), ფილიპესკუ (2), პანცირუ (2), შტეფი (2), ტასე, მალკო.

სსრ კავშირი (II, ახალგაზრდული). კრავჩენკო (10), სტოლიაროვი (2), მასიევიჩი (2), კუიავსკი.

• • •

გფრ — იუგოსლავია 18:15 (9:8).

გფრ. მიულერი (6), შმიდტი (5), დეკარლი (2), ბრაუნი (2), ველცი, ვესტიობე, ვინერი.

იუგოსლავია. რადენოვიჩი (6), ხორვატი (3), ლავრინიჩი (3), პერიჩი (2), ფრაიფრიჩი.

• • •

სსრ კავშირი (I) — საქართველო 23:12 (9:4).

სსრ კავშირი (I). მახორინი (5), პანოვი (4), ჩიკალაევი (3), პლახოტინი (3), კლიმოვი (2), ილინი (2), კულიოვი (2), ლაგუტინი, უსატი.

საქართველო. გ. ბერიაშვილი (3), ნარიმანიძე (2), ჭყონია (2), გ. ბერიაშვილი, ბუნაძე, დვალიშვილი, ტაბიძე, ქესეულიძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრკ (I)	3	3	0	0	71—47	6
გფრ	3	3	0	0	65—44	6
რუმინეთი	3	2	0	1	52—50	4
იუგოსლავია	3	1	0	2	59—60	2
საქართველო	3	0	0	3	47—69	0
სსრკ (II)	3	0	0	3	47—71	0



უსიტყვოდ.

ა. ერაძის ნახატები.

რაიონებში [illegible]

ყვარელი

ამას წინათ გავაზის კულტურის სახლში ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ქართულ ჭიდაობაში, ასპარეზობაში მონაწილეობდა 7 გუნდი. I ადგილი გავაზის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი შ. ნარეკლიშვილი) დაისაკუთრეს.

დ. ვარადაშვილი.

გურჯაანი

კაჭრეთის სკოლა-ინტერნატში ჩატარდა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ლ. თედიაშვილის პრიზზე. მთავარი ჯილდო ყველაზე ტექნიკური და აქტიური ჭიდაობისთვის ფ. შირინოვმა მიიღო. ეს სპორტსმენი უკვე სამჯერ იყო რაიონის ჩემპიონი.

ჯ. კომახიძე.

პოლტავის „ვიმპელმა“ მოტობურთში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა და ქვეყნის წლევანდელი თასიც დაისაკუთრა.

სურათზე: „ვიმპელის“ სპორტსმენები (მარცხნიდან) ნ. ანდრიუშჩენკო, ვ. კუდინოვი, მწვრთნელი ლ. რუსაკოვი; მეორე პლანზე — ნ. ტუმკო, ვ. ზახაროვი, ი. ალექსენსკი, ვ. დანილიაკი და ვ. ზელენსკი.

პ. კეკალოს ფოტო (საკდესი).

წლევანდელი სეზონი ძალიან რთული იქნება საბჭოთა მოთხილამურეებისთვის, ვინაიდან სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის გარდა მათ მორიგი მსოფლიო ჩემპიონატიც ელით.

ვ. კლეპაცკი (სურათზე) 23 წლისაა. შარშანდელ სეზონში მან მაღალი შედეგები მოიპოვა თხილამურებით ხტომაში: გორკში, თავის მშობლიურ ქალაქში, სსრ კავშირის თასი მოიგო და ქვეყნის ნაკრებ გუნდში მოხვდა. ახლა იგი ერთ-ერთი კანდიდატია საბჭოთა ნაკრებისა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატში უნდა მიიღოს მონაწილეობა, და ამიტომ განსაკუთრებით გულმოდგინედ ვარჯიშობს.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

საქმენი მოვლენები

მარტო წლეულს — ასამდე შეჯიბრება

◆

გამოცდილება მოიწონეს

სპორტული „ნორმა“

საწარმოო გაერთიანება „ნორმის“ ყოველი მეორე მუშაკი ქარხნის სპორტკლუბის წევრია. ოდესღაც ეს იყო ამ ტიპის პირველი კლუბი ტალინის საწარმოებში. ახლა „ნორმას“ დაარსებიდან 10 წელი უსრულდება.

— სპორტში სისტემატური მეცადინეობა მხნეობისა და ჯანმრთელობის საწინდარია, — ამბობს სპორტკლუბის თავმჯდომარე, გაერთიანების ერთ-ერთი საამქროს უფროსი პ. იაკობსონი. — კლუბის 12 სექციაში ათასამდე ადამიანია გაერთიანებული. როგორც წესი, სექციებს ხელმძღვანელობენ საწარმოში მომუშავე გამოცდილი სპორტსმენები. მაგალითად, ზეინკალი, სპორტის ოსტატი რუდი სიმერი ცურვის სექციის წევრებს ავარჯიშებს, ხარატი, სპორტის ოსტატი ეინო ლინა — მსროლელებს, პირველთანრიგოსანი ენ ტულიკი — მძლეოსნებსა და კალათბურთელებს.

კლუბში არის ერთი სექცია, რომელიც სპორტის ვეტერანებს აერთიანებს. მაგალითად, ესტონეთის 16-გზის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში ოლგა უსარი ახლაც დიდი გატაცებით ვარჯიშობს. იგი ფრენბურთელთა და მოცურავეთა შეჯიბრებების მუდმივი მონაწილეა. ამავე სექციაში არიან გაერთიანებული სპორტის ოსტატები — მექანიკური უბნის მუშა, კალათბურთელი კალიუ ეინარტი, მშენებელი ინჟინერი, მოკრივე იააკ იალაკასი და ბევრი სხვა.

სპორტსმენთა განკარგულებაშია ქარხნის სტადიონი საფეხბურთო მინდვრითა და სარბენი ბილიკებით, ტირი. მათთვისვე შენდება ავტომოტოსპორტის ბაზა. მთელი წლის მანძილზე ემსახურება ქარხნის მშრომელებს სპორტული თამაშების დარბაზი, აუზი.

მარტო წლეულს სპორტკლუბმა 100-მდე შეჯიბრება მოაწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში. კლუბის თითქმის ყველა წევრმა წარმატებით ჩააბარა მშდ კომპლექსის ცალკეული ნორმატივები. 50 კაცს ამ კომპლექსის მოთხოვნები უკვე მთლიანად შესრულებული აქვს.

საწარმოს 600-ზე მეტ მუშას და მოსამსახურეს სპორტული თანრიგი აქვს. ჰყავთ 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 18 სპორტის ოსტატი, 60 პირველთანრიგოსანი. წყალქვეშ ცურვაში საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ქარხნის კლუბის აღზრდილებმა: მსოფლიოს წლევანდელმა ჩემპიონმა ქალთა შორის ილა რაუდიკმა და ევროპის ექს-ჩემპიონმა ველო პრანგელმა.

ს. სმირნოვი.

ტალინი.

სკოლის „ჯანმრთელობის ქალაქი“

ვახშის 29-ე საშუალო სკოლის ოთხასზე მეტმა მოსწავლემ მთლიანად ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ტაჯიკეთის სასწავლებელთა შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშდ კომპლექსის სპარტაკიადა ჩატარდა სკოლის სპორტულ ბაზებზე, რომლებიც ამასწინანდელი რესპუბლიკური დათვალიერების დროს საუკეთესოდ აღიარეს.

სკოლის „ჯანმრთელობის ქალაქში“ შედის სპორტული თამაშების შესანიშნავი მოედნები, ტირი, აუზი. ეს ყველაფერი მოსწავლეებმა თვითონ ააშენეს ორ წელიწადში.

თავიდან ასე დაიწყო: სკოლა 1971 წელს აშენდა. შენობის უკან გადაჭიმულ ტრამალზე უამრავი ლორღი, დამტვრეული აგური და ბეტონის ფილები ეყარა. პედსაბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა ეს ტერიტორია გაეწმინდათ და სპორტული კომპლექსი აეგოთ. სკოლას დიდი დახმარება გაუწიეს შეფებმა — № 2 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მუშაკებმა. მათვე დაუმზადეს ბავშვებს კალათბურთის ფარები, კარები ფეხბურთისა და ხელბურთისთვის. მოსწავლეები შრომის გაკვეთილების დროს მშენებლობაზე მუშაობდნენ. აქ მათ შეფების — გამოცდილი ოსტატების დახმარებით შეისწავლეს კალატოზის, მლესავის, მღებავის ხელობა.

სკოლას აქვს კაპიტალური ელინგი ნიჩბოსნებისთვის, რომელიც თვითონ ბავშვებმა ააგეს ტბის ნაპირზე.

მომავლისთვის განზრახული აქვთ მოაწყონ ჩოგბურთის კორტი, მოედნები ბადმინტონისა და რიკაობისთვის, წინაღობათა ზოლი მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლებისთვის.

29-ე სკოლის გამოცდილება მოიწონეს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და სპორტკომიტეტმა. ამ სკოლის მაგალითს ტაჯიკეთის სხვა სასწავლებლებმაც უნდა მიბაძონ.

ლ. ჩიბრინი.

დუშანბე.

მეორედ გახდა!

ვილნიუსში დამთავრდა ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელშიც საბჭოთა ქვეყნის ყველა უძლიერესი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

გთავაზობთ შეჯიბრების საბოლოო შედეგებს: I. ა. განტვარგი (მინსკი) —13 ქულა, II. ა. მოგილიანსკი (რიგა), III. ვ. შჩოგოლევი (მოსკოვი) — 12-12, IV. ლ. სლობოდსკოი (ხარკოვი) — 11,5, V. ა. ანდრეიკო (რიგა) — 11, VI. ვ. გოლოსუევი (ლენინგრადი), VII. ნ. მიშჩანსკი (დონეცკი) — 10,5-10,5, VIII. ვ. აგაფონოვი (მოსკოვი), IX. მ. კორხოვი (ოდესა), X. ა. რაცი — 10-10, XI. მ. კორენევსკი (ორივე — ლენინგრადი) — 9,5, XII. ვ. კაპლანი (კიევი), XIII. ა. ფედორუკი (მოსკოვი) — 9-9, XIV. ლ. ციპესი (ხარკოვი), XV. ა. ჩულკოვი (მოსკოვი)—8,5-8,5, XVI. ვ. ვეიცმანი (ლენინგრადი) — 8, XVII. ნ. სრეტენსკი (კალინინი) — 7,5, XVIII. ი. კოლოდიევი (კიევი) — 7, XIX. შ. იუსუპოვი (მოსკოვი) — 6,5, XX. ვ. ლოგუნოვი (კალინინი) — 6 (ერთნაირი ქულების მქონე მოთამაშეთა შორის წინ ისინი არიან, ვისაც მეტი მოგება აქვს).

25 წლის განტვარგი მეორედ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი (პირველად მან ეს ტიტული 1969 წელს მოიპოვა). ამ წარმატებამ ახალგაზრდა დიდოსტატს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოუტანა. ეს შეჯიბრება გაისად გაიმართება.

აღსანიშნავია რიგელი ინჟინრის, ოსტატ მოგილიანსკის მიღწევა. წინა ჩემპიონატებში იგი V ადგილს არ გასცილებია, მაგრამ ახლა ერთი წელია მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ანდრეიკოს მწვრთნელი ა. ფრეიდენფელდი (რიგა) ავარჯიშებს და შედეგმაც არ დააყოვნა: მოგილიანსკის სსრ კავშირის დიდოსტატის პირველი ბალი მიენიჭა.

(საკდესი).

მსოფლიოს უძლიერესი მოფარიკავეები

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიე) გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერესი მოფარიკავეების სია. იგი შეადგინა ფიე-ს კომისიამ, რომელიც სპორტსმენებს ქულებს უთვლიდა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისა და დიდი საერთაშორისო ტურნირების შედეგების საფუძველზე.

ქალები

რაპირა: 1. ნიკონოვა (სსრ კავშირი) — 49 ქულა; 2. შვარცენბერგერი — 30; 3. რეიტო — 27; 4. ბობიში (სამივე — უნგრეთი) — 26; 5. ბელოვა (სსრ კავშირი) — 22; 6. რაჩოვა (ჩეხოსლოვაკია) — 18.

ვაჟები

რაპირა: 1. კამუტი (უნგრეთი) — 36; 2. ნოელი (საფრანგეთი) — 34; 3. ციუ (რუმინეთი)—29; 4. ტალვარი (საფრანგეთი)—24; 5. ვოიდა (პოლონეთი) — 22; 6. ჩიქი (სსრ კავშირი) — 21.

ესპადრონი. 1. სიდიაკი (სსრ კავშირი) — 55; 2. მონტანო — 44; 3. მაფეი (ორივე — იტალია) — 40; 4. ნაზლიმოვი (სსრ კავშირი) — 38; 5. პავლოვსკი (პოლონეთი) — 30; 6. კოვაჩი (უნგრეთი) — 24.

დაშნა. 1. ედლინგი (შვეცია) — 40; 2. ფენვეში (უნგრეთი) — 32; 3. გიგერი (შვეიცარია) — 28; 4. პეცა (იტალია)—24; 5. იაკობსონი (შვეცია) — 21; 6. ვალეტოვი (სსრ კავშირი) — 14.

უძლიერესთა სიაში ქვეყნები ასე არიან წარმოდგენილი: სსრ კავშირი და უნგრეთი — 6-6 მოფარიკავე, იტალია — 3, პოლონეთი, საფრანგეთი და შვეცია — 2-2, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია და შვეიცარია — 1-1.

დევისის თასი

ავსტრალიელებმა მოიგოვეს

ავსტრალიის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 5:0 დაამარცხა აშშ-ს ეროვნული გუნდი და ექვს წელიწადს „შესვენების“ შემდეგ კვლავ გაიმარჯვა დევისის თასის გათამაშებაში — მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში.

ეს საზონათშორისო ფინალური მატჩი კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) ჩატარდა. ამასთან, ჩოგბურთელები ამ შეჯიბრების ისტორიაში პირველად თამაშობდნენ არა ღია მოედანზე, არამედ დარბაზში, სადაც პლასტიკური საფარი იყო დაგებული. ამერიკელები, რომლებიც ამ საპატიო პრიზს 1968 წლიდან ფლობდნენ, ახლა იმედს უმთავრესად სტენ სმითზე ამყარებდნენ. ამიტომ ჯონ ნიუკომბმა, რომელიც მატჩის პირველ შეხვედრაში დადგა სმითის პირისპირ, მშვენივრად იცოდა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მის წარმატებას თუ წარუმატებლობას.

ნიუკომბმა სმითი დაამარცხა უმძიმეს ხუთსეტიან ბრძოლაში — 6:1, 3:6, 6:3, 3:6, 6:4. მაგრამ არანაკლებ დაძაბული იყო შემდეგი შეხვედრაც. აქ როდ ლეივერი ამერიკელ ტომ ჰორმენზე უფრო სწრაფი და ამტანი აღმოჩნდა, რამაც სტუმრებს მეორე დიდად მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა — 8:10, 8:6, 6:8, 6:3, 6:1. ლეივერმა ეს მატჩი საღამოს ათ საათზე დაამთავრა, მაგრამ მეორე დღეს, 14 საათსა და 15 წუთზე, 35 წლის ვეტერანი წყვილთა შეხვედრების ყველა მონაწილეზე ახალგაზრდულად და მხნედ გამოიყურებოდა. ნიუკომბმა და ლეივერმა სულ იოლად მოუგეს სმითს და ერიკ ვან დილენს — 6:1, 6:2, 6:4.

დანარჩენ შეხვედრებს უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა მატჩის საბოლოო შედეგისთვის, მაგრამ ავსტრალიელები, რომ იტყვიან, ემხში შევიდნენ და ისევ დაჯაბნეს მეტოქეები: ნიუკომბმა აჯობა ჰორმენს — 6:2, 6:1, 6:3, ლეივერმა მოუგო სმითს — 6:3, 6:4, 3:6, 6:2.

სპორტლოტო

მორიგი ტირაჟები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 33-ე და „სპორტლოტო-2“-ის მე-5 ტირაჟებისა, რომლებიც 30 ნოემბერს კალინინგრადში მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4447 მანეთია (იღბლიანი აღმოჩნდა 102 ბილეთი), ოთხისთვის — 76 (6870), სამისთვის — 4 მანეთი (130507).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ის, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო (ასეთი 20 კაცია), 2229 მანეთს მიიღებს. ოთხი სახეობის გამოცნობისთვის მოგება 42 მანეთია (1071 ბილეთი), სამისთვის — 3 (19106).

მოგებები გაიცემა 1973 წლის 11 დეკემბრიდან 1974 წლის 10 იანვრამდე.

• • •

ამ ტირაჟებში ბედმა გაუღიმა საქართველოს ზოგიერთ მცხოვრებსაც. მაგალითად, მახარაძის მკვიდრმა, სამაცივრო დანადგარების შემკეთებელი სამმართველოს აღმრიცხველმა ნინო სურგულაძემ „სპორტლოტოს“ მხოლოდ ექვსი ბილეთი იყიდა და ალბათ დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ერთ-ერთ მათგანზე ხუთ სახეობას გამოიცნობდა. და აი, მან 2844 მანეთი მოიგო.

ამავე ტირაჟში ასევე 2844 მანეთი მოგება ხვდა ბათუმის № 2659 ავტოსატრანსპორტო კოლონის შოფერს ა. მელიქიანსაც.

ნ. ლონლაძე,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება—99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო—93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 12961